

საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინასა და ანტიკურ ხანაში ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, მსგავსი ანალოგები არ მოგვეპოვება. ჭიათურული საკინძის პარალელები ასევე უცნობია საქართველოს ტერიტორიაზე ადრე-შუასაუკუნეების ხანაშიც.¹ წინმსწრებად აღვნიშნავთ, რომ ეს არტეფაქტი წარმომავლობით შესაძლოა უფრო იხრებოდეს ეგეოსური სამყაროს კულტურის წრისკენ, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჭიათურული საკინძი თავის ფორმის გარსშემოწერილობით და სხვა დეტალებით ახლო პარალელებს ამჟღავნებს ქვემო ქართლში (წინწყარო), ნაპოვნ ორპირა ალებარდისმაგვარ ბრინჯაოს საკიდ-ავგაროზებთან² (ტაბ. II-4,5). ბ. კუფტინი ამ ნივთს ძველი რკინის ხანით ათარიღებს. ამ ძეგლზე არის მეორე ნივთი-საკიდი, რომელიც ცალპირა ალებარდის მსგავსია. წინწყაროს იდენტური არტეფაქტი ასევე ცნობილია სამხრეთ საქართველოში ელი-ბაბას სამაროვანზე შესწავლილი საკიდის სახით³ (ტაბ. I-2). ამ სამაროვანს, ძვ. წ. VII-VI სს-ებით ათარიღებენ და ეს ნივთიც ბუნებრივია ამ პერიოდით უნდა განისაზღვროს.

ძვ. წ. XVI-XIII სს-ების თლიას სამარხეულ კომპლექსებში გამოყოფენ 11 ტიპის საკინძს, რომელთაგან IV ტიპს, თავისი ცალპირა დაბოლოების მიხედვით, აკუთვნებენ ამიერკავკასიურ, ანდა ამაზონის ფორმის მქონე სეკირებს.⁴ აღსანიშნავია, რომ ეს ნიმუში ცალი პირით შორეულ ასოციაციას იწვევს ჭიათურის საკინძთან. ცალპირა ალებარდის ტიპის ცული და საკინძი იშვიათად გვხვდება ყოზანის სამაროვანზე,⁵ ასევე მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში (ვ. დოლბეჟევის გათხრების მიხედვით). ერთი ასეთი საკინძი ცნობილია ზემო რუთხიდან.⁶

ჭიათურის საკინძთან, შესაძლოა, ზოგიერთი დეტალის მიხედვით, შორეული პარალელი მოვიძიოთ საბერძნეთის მაკედონიაში, სოფელ ვერჯინაში გათხრილ სამაროვანზე აღმოჩენილ სამსაფეხურიანი ორმაგი ცულის საკიდებისა და ლილაკების სახით. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი მდედრობითი სქესის სამარხებშია დაფიქსირებული. ავტორი მათ მიიჩნევს სამკაულებად. სამარხები დათარიღებულია ძვ. წ. X-IX სს.⁷ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორპირა ალებარდის ტიპის იარაღი არ არის ცნობილი რო-

¹ ჩიხლაძე, *საკინძები*, გვ. 343-348, ტაბ. I, II, III.

² Куфтин, *Археологические раскопки в Триалети*, გვ. 54, სურ. 51-2; ქორიძე, *კოლხური კულტურის ისტორიისათვის*, გვ. 94, სურ. 83; ჩავლეიშვილი, *კოლხური ბრინჯაოს სანარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში*, გვ. 22.

³ მურვანიძე, *ელი-ბაბას სამაროვანი*, ტაბ. VII-5.

⁴ Техов, *Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э.*, გვ. 31-51.

⁵ Уварова, *Могильники Северного Кавказа*, გვ. 52, სურ. 50; Motzenbäcker, *Sammlung Kosnierska*, გვ. 95, სურ. 48-10.

⁶ Техов, *Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э.* გვ. 42; Крупнов, *Древняя история Северного Кавказа*, სურ. 9-1.

⁷ Radt, *Die Früheisenzeitliche Hügelnekropole bei Vergina in Makedonien*, გვ. 143.

გორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავრცელების არეალში.¹ ამ ფაქტზე დაყრდნობით თვლიდნენ, რომ საქართველოში წინააზიურ ე. წ. ორპირა ალეზარდის ტიპის იარაღს გამოყენება არ ჰქონია. თუმცა არ გამოირიცხავენ იმასაც, რომ ასეთი ტიპის იარაღს ჩვენში იცნობდნენ წინწყაროში ნაპოვნი ორპირა ალეზარდის ფორმის ავგაროზების მიხედვით.²

შესაძლოა ამ მოსაზრებას ეხმაურებოდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. კრისხევში თანმხლები ინვეტარის გარეშე, შემთხვევით გამოვლენილი ორპირა ალეზარდის ტიპის, საბრძოლო რკინის ცული, რომელიც სავარაუდოდ ანტიკური ხანისა უნდა იყოს (ტაბ. I-3). მას გააჩნია სეგმენტისებური მოყვანილობის პირი, რომელიც გრძელ ოვალურ სატარე ხვრელიან სახელურთან ვერტიკალურადაა მიერთებული. არტეფაქტის ორივე პირი და ზედაპირი დაზიანებულია. მისი სიგრძეა 23,3 სმ. სოფ. კრისხევის ცულს უწოდებენ ტაბარძენს (ორმხრივი საბრძოლო ცული), რომელიც სპარსული წარმომავლობის სიტყვა ყოფილა. სულხან საბას ქართული ლექსიკონის მიხედვით ტაბარძენი ცხენის უნაგირზე დასაკრავ ნაჯახს ნიშნავს.³ ეს არტეფაქტი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის ჩაუბარებია ვინმე რ. ბიჭიკაშვილს (ინვეტარის №4529/ა235). საინტერესოა, რომ სოფ. კრისხევში გამოვლენილ ცულთან მსგავსებას ამჟღავნებს კახეთში, შირაქის ზეგანზე, ნაზარდების სამლოცველოზე (ძვ. წ. XII-X სს.) ბრინჯაოს განძში აღმოჩენილი ორპირი აღმოსავლურ ამიერკავკასიური ცული. ამ ნიმუშის ზუსტი პარალელი გამოვლენილია აზერბაიჯანში.⁴

გარკვეული დეტალის საფუძველზე (ალეზარდის ფორმა), ჭიათურის საკინძის შეხების წერტილებია მოცემული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჩოლოქის ნამოსახლარის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) IV კულტურულ ფენაში გამოვლენილ გულსაკინძის ჩამოსასხმელ ყალიბის ფორმასთან, რომელშიც დამზადებული ნივთი კრეტა-მიკენის კულტურისთვის დამახასიათებელ ორპირა ცულის ფორმას იმეორებს⁵ (tab. II-1). ასევე საინტერესო ბრინჯაოს საკინძია გამოვლენილი მახვილაურის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) ქვყრილიანი სამარხის გათხრისას, სადაც აღმოჩენილ ამ სახის ნივთს, ორპირა ალეზარდის ფორმა გააჩნია⁶ (tab. II-2). იგი ფორმის მიხედვით იმეორებს ჩოლოქის IV კულტურულ ფენაში გულსაკინძის ჩამოსასხმელ ყალიბის ფორმას, რომლის საშუალებითაც ამზადებდნენ ორპირა ალეზარდის ფორმის არტეფაქტებს. აღნიშნულ ნივთებთან მორფოლოგიუ-

¹ ქორიძე, *კოლხური კულტურის ისტორიისათვის*, გვ. 94.

² იქვე, გვ. 94.

³ სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა*, გვ. 333.

⁴ Гумель, *Погребальный курган (№1) около Еленендорфа Азербайджанской ССР*, გვ. 14, ტაბ. V; ჩავლეიშვილი, *კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა*, გვ. 22.

⁵ ჩავლეიშვილი, *კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა*, გვ. 21, ტაბ. 11-1,2.

⁶ იქვე, ტაბ. 11-2.

რი თვალსაზრისით ახლოს დგას ცაიშის სამაროვნის N2 სამარხ ორმოდან მომდინარე მინიატურული ზომის ორპირი ცულიანი ოქროს საკიდი.¹

ფიქრობენ, რომ არამარტო ეგეოსურ სამყაროში (მხედველობაში აქვთ კნოსოსის საკურთხევლის მოდელზე მოთავსებულ სენაკში ნაპოვნი სტეატიტისაგან დამზადებული პატარა ორპირა ცული), არამედ კავკასიაში არსებობდა ორპირა ცულის სიმბოლოები (იმიტაციები). ამის დასტურად მი-აჩნიათ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ორპირა ცულის მინია-ტურული ნიმუშები.² მცირე აზიაში აღმოჩენილ უხეში თიხის ორრქიან სად-გრებს (ერ. შმიტი) უკავშირებენ საკურთხევლებს და მათში ხედავენ ორპი-რა ღვთაების კულტთან დაკავშირებულ შესანიშნულ რქებს.³ იგივე მოსაზრებას ავითარებენ, როდესაც ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისის ნამოსახლარებზე და საკულტო მოედნებზე გამოვლენილ ორრქიანი სადგრების სხვადასხვა ვარიანტის დაკავშირება ხდება კრეტა-მიკენის კულტურასთან.⁴

ამრიგად, ჭიათურის საკინძი მოგვაგონებს წინააზიურ ე. წ. ორპირა ალებარდს, რომელიც, როგორც აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე არ გავრცელებულა. თუმცა აქ აღმოჩენილი ორპირა ალებარდის თავიანი საკიდები გარკვეულ საფუძველს უნდა ქმნიდნენ ვარაუდისთვის, რომ ისი-ნი დაფუკავშირით ეგეოსურ სამყაროს. ბრინჯაოს საკინძის უკონტექსტობა გარკვეულ სირთულეს წარმოშობს დასათარიღებლად. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ დასაშვებია, ორპირა ალებარდის მსგავსი საკიდები და ჭი-ათურის საკინძი ერთ მთლიან ჭრილში განვიხილოთ, იდეურად დაფუკავში-როთ ერთმანეთს და განვსაზღვროთ მათი შექმნის პერიოდი ძვ. წ. II ათასწ-ლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით. ეს ის პერიო-დია, როდესაც მყარდება საკმაოდ მჭიდრო კავშირები გარე სამყაროსთან. როგორც კერამიკული, ასევე ბრინჯაოსა და სხვა ინვენტარის მიხედვით (სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები), კონტაქტების დამადას-ტურებელი არაერთი ფაქტია ცნობილი, უფრო მეტად ადრერკინისა და ან-ტიკური ხანის კოლხეთის როგორც დაბლობის, ისე მთიანი ზოლის (ბრილის სამაროვანი) ძეგლებზე.⁵

¹ პაპუაშვილი (და სხვა), *ცაიშის სამაროვანი*, ტაბ. 26-86.

² გობეჯიშვილი, *სტალინირის ნაცარგორა*, გვ. 265.

³ გობეჯიშვილი, *სტალინირის ნაცარგორა*, გვ. 260.

⁴ ჩავლეიშვილი, *კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში*, გვ. 23.

⁵ აფაქიძე, *კოლხური კულტურის საგარეო კავშირები*, გვ. 49-62; სულავა, *შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით)*, გვ. 70-74; ქობალია (და სხვა), *მძივები ბრილის სამაროვნიდან*, ძვ. წ. XV - ახ. წ. IV საუკუნეები, გვ. 70.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა
Cited Sources and Literature

აფაქიძე, კოლხური კულტურის საგარეო კავშირები – აფაქიძე ჯ., კოლხური კულტურის საგარეო კავშირები ნამოსახლარების კერამიკული მასალების მიხედვით და მათი მნიშვნელობა აბსოლუტური ქრონოლოგიის კვლევისათვის, „ძიებანი“, 12, 2003, გვ. 49-62

(Apakidze, External Contacts of Colchian Culture – Apakidze J., *External Contacts of Colchian Culture as seen from Pottery Obtained at Archaeological Sites and their Implications for the Study of Absolute Chronology*, “Dziebani” [“Studies”], 12, 2003, pp. 49-62).

ბუხრაშვილი, ნაზარლების სამლოცველო – ბუხრაშვილი პ., ნაზარლების სამლოცველო: ეთნოარქეოლოგიური რეტროსპექტივის ცდა (კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე „ამირანი“-ს XXXV ნომრის დამატება), თბილისი, 2021

(Bukhrashvili, Sanctuary of Nazarlebi – Bukhrashvili P., *Sanctuary of Nazarlebi: An Attempt of an Ethnoarchaeological Retrospective* [Addition to Volume No. 35 of the Bulletin of International Institute for Caucasiology, “Amirani”], Tbilisi, 2021).

გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა – გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, 2, 1951, გვ. 239-276

(Gobedjishvil, Staliniri Natsargora – Gobedjishvili G., *Staliniri Natsargora*, “Mimomkhilveli”, 2, 1951, pp. 239-276).

მურვანიძე, ელი-ბაბას სამაროვანი – მურვანიძე ბ., ელი-ბაბას სამაროვანი, „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, 15-16, 2005, გვ. 147-163

(Murvanidze, Eli-Baba Cemetery – Murvandze B., *Eli-Baba Cemetery*, “Dziebani Sakartvelos Arkeologiashi” [“Studies in Georgian Archaeology”], 15-16, 2005, pp. 147-163).

პაპუაშვილი (და სხვა), ცაიშის სამაროვანი – პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი., ცაიშის სამაროვანი, თბილისი, 2015

(Papuashvili [et al.] Tsaishi Necropolis – Papuashvili R., Esebua T., Djikia L., Papuashvili I., *Tsaishi Necropolis*, Tbilisi, 2015).

სულავა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით) – სულავა ნ., შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით), „ძიებანი“, 12, 2003, გვ. 70-74

(Sulava, The Black Sea Eastern Shore Ancient Old Contacts [by Fibulae Shapes] – Sulava N., *Ancient Contacts on the Eastern Black Sea Coast [Based on Fibulae]*, “Dziebani” [“Studies”], 12, 2003, pp. 70-74).

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949

(Sulkhan-Saba Orbeliani, *Dictionary* – Sulkhan-Saba Orbeliani, *Dictionary*, Ed. and preface by S. Iordanishvili, Tbilisi, 1949).

ქობალია (და სხვა), მძივები ბრილის სამაროვნიდან, ძვ. წ. XV - ახ. წ. IV საუკუნეები – ქობალია ნ., ვაჩაძე გ., ჩხარტიშვილი ნ., კუბლაშვილი მ., გრატუზ ბ., *მძივები ბრილის სამაროვნიდან, ძვ. წ. XV - ახ. წ. IV საუკუნეები*, თბილისი, 2025
(Kobalia [et al.], *Beads from Brili Necropolis: 15th century BCE - 4th century CE* – Kobalia N., Vachadze N., Chkhartishvili G., Kublashvili N., Gratz B., *Beads from Brili Necropolis: 15th century BC - 4th century CE*, Tbilisi, 2025).

ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის – ქორიძე დ., *კოლხური კულტურის ისტორიისათვის*, თბილისი, 1965

(Koridze, *Towards the History of Colchian Culture* – Koridze D., *Towards the History of Colchian Culture*, Tbilisi, 1965).

ჩავლეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში – ჩავლეიშვილი ი., *კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში*, სფსმ, 19, 1991, გვ. 3-26

(Chavleshvili, *Seat of Bronze Production in the Choloki-Ochkhomuri Canion* – Chavleishvili I., *A Colchian Bronze Production Center in Khertvisi of Cholok-Ochkhomuri*, “Samkhret-Dasavlet Sakartvelos Dzeglebi” [“Monuments of Southwestern Georgia”], 19, 1991, pp. 3-26).

ჩიხლაძე, საკინძები. – ჩიხლაძე ვ., *საკინძები*, კრ. „საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები (ძვ. წ. V - ახ. წ. V სს)“, პროექტის ხელმძღვანელი: გ. გამყრელიძე, თბილისი, 2021, გვ. 343-348

(Chikhladze, *Pins* – Chikhladze V., *Pins*, In: “Archaeology of Georgia [5th century BC - 5th century AD]”, Ed. by G. Gamkrelidze, Tbilisi, 2021, pp. 343-348).

Motzenbäcker, *Sammlung Kossnierska* – Motzenbäcker I., *Sammlung Kossnierska: Der digorische Formenkreis der kaukasischen Bronzezeit*, Berlin, 1996

(Motzenbäcker, *Kossnierska Collection* – Motzenbäcker I., *Kossnierska Collection: Digorian cultural complex of Caucasian Bronze Age*, Berlin, 1996).

Radt, *Die früheisenzeitliche Hügelnekropole bei Vergina in Makedonien* – Radt W., *Die früheisenzeitliche Hügelnekropole bei Vergina in Makedonien*, In: “Beiträge zu italienischen und griechischen Bronzefunden”, Hrsg. v. H. Müller-Karpe (Prähistorische Bronzefunde, Abteilung XX, Band 1), München, 1974, S. 98-147

(Radt, *The Early Iron Period Mound Necropolis Near Vergina, Macedonia* – Radt W., *The Early Iron Period Mound Necropolis Near Vergina, Macedonia*, In: “Contributions to Italian and Greek Bronze Period Finds”, Ed. by H. Müller-Karpe [Prehistoric Bronze Finds, Section XX, Vol. 1], München, 1974, pp. 98-147).

Гумель, *Погребальный курган (№1) около Еленендорфа Азербайджанской ССР* – Гумель Я., *Погребальный курган (№1) около Еленендорфа Азербайджанской ССР*, Баку, 1931

- (Hummel, *Burial Kurgan [NI] near Hellenendorf, Azerbaijan SSR* – Hummel I., *Burial Kurgan [NI] Near Hellenendorf, Azerbaijan SSR*, Baku, 1931).
- Крупнов, Древняя история Северного Кавказа** – Крупнов Е., *Древняя история Северного Кавказа*, Москва, 1960
- (Krupnov, *The Ancient History of the North Caucasus* – Krupnov E., *The Ancient History of the North Caucasus*, Moscow, 1960).
- Куфтин, Археологические раскопки в Триалети** – Куфтин Б., *Археологические раскопки в Триалети*, Тбилиси, 1941
- (Kuftin, *Archaeological Excavations in Trialeti* – Kuftin B., *Archaeological Excavations in Trialeti*, Tbilisi, 1941).
- Техов, Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э.** – Техов Б., *Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э.*, Москва, 1977
- (Tekhov, *The Central Caucasus in the 16th-10th Centuries BC* – Tekhov B., *The Central Caucasus in the 16th-10th Centuries BC*, Moscow, 1977).
- Уварова, Могильники Северного Кавказа** – Уварова П., *Могильники Северного Кавказа* (Материалы по археологии Кавказа, Вып. VIII), Москва, 1900
- (Uvarova, *Cemeteries of the North Caucasus* – Uvarova P., *Cemeteries of the North Caucasus* [Materials on the Archaeology of the Caucasus, 8th issue], Moscow, 1990).

**A Bronze Pin Found
in Zemo (Upper) Imereti**


Summary


An intriguing bronze pin shaped like a double blade halberd resembling an axe is housed in the Ch'iatura Local History Museum. It was discovered accidentally in 1970 in the village of Itkhvisi. The pin is 20 cm long. Its 16.5 cm long pin-rod is crowned with a 4.5 cm long and 5cm wide top. One half of the shaft is adorned with incisions. The transition point between the terminal and the shaft is markedly thickened and pierced by a transverse hole approximately 1 cm in diameter. A pair of circular perforations at the center of the terminal gives the impression that the upper section may once have borne clearly defined figurative elements.

The Ch'iatura pin's form and specific details suggest close parallels with double-bladed halberd-shaped bronze pendant-amulets discovered in Kvemo (Lower) Kartli (Ts'int's'q'aro), which B. Kuftin dates to the Early Iron Age. A similar object, dated to the 7th-6th centuries BC, was found at the Eli-Baba cemetery in southern Georgia. Further analogies, particularly in terms of shape, can be observed in artifacts from Ach'ara – specifically clothing pins unearthed at the Choloki settlement (according to the shape of a mould) and a barrow in Makhvilauri.

There are also noteworthy distant parallels with Greek-Macedonian artefacts – namely, triple-stepped double-axe-shaped pendants and buttons found in the cemetery of Vergina. Notably, all of these were recovered from female burials and are interpreted as items of personal adornment. They are dated to the 10th-9th centuries BC.

The absence of a clear archaeological context for the bronze pin complicates efforts to determine its precise chronology. Nevertheless, we propose that the Ch'iatura pin and the double-edged halberd-like pendants known from other regions of Georgia should be examined within a unified conceptual framework. These artefacts likely belong to a shared cultural horizon and can be tentatively dated to the transitional period between the end of the second millennium BC and the beginning of the first millennium BC. We conditionally associate their origin with the Aegean cultural sphere. This era was marked by the establishment of close contacts between western Georgia and several regions of the Mediterranean. Evidence of these interactions includes beads made from ceramic, bronze, and other materials. Numerous finds from both lowland and highland Colchian sites – particularly from Early Iron Age and Classical-period contexts, such as the Brili burial ground – further attest to these cultural exchanges.





ილუსტრაციები

ტაბ. I – 1. ბრინჯაოს საკინძი; 2. ელი-ბაბას ორპირა ალებარდისმაგვარი ბრინჯაოს საკინძი-ავგაროზი; 3. სოფ. კრისხევის ორპირა ალებარდის ტიპის რკინის ცული (ბიძინა მურვანიძის მიხედვით).

ტაბ. II – 1. წყვილი ალებარდის ფორმის საკინძის ჩამოსასხმელი ყალიბი ჩოლოქის ნამოსახლარიდან; 2. ორპირა ალებარდის ფორმის ბრინჯაოს საკინძი სოფ. მახვილაურის ქვაყრილიანი სამარხიდან; 3. ორპირა ცულის საკურთხეველი კრეტადან; 4-5. ალებარდისმაგვარი ბრინჯაოს საკინძი ავგაროზები სოფ. წინწყაროდან (ირაკლი ჩავლეიშვილის მიხედვით).

Illustrations

Tab. I – 1. Bronze pin; 2. Double-bladed halberd-shaped bronze pendant-amulet from Eli-Baba; 3. An iron double-bladed axe from the village of Kriskhevi (according to Bidzina Murvanidze).

Tab. II – 1. A casting mould with two identical cavities for casting double-headed axe-shaped pins, discovered at the Choloki settlement; 2. An altar featuring the image of a double-headed axe, discovered in Crete; 3. A double-blade axe altar from Creta; 4-5. Bronze pendants (amulets) in the shape of double-headed axes from the village of Ts'int's'q'aro (according to Irakli Chavleishvili).